საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ზ. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.07.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 050/15

საჩივარი შემოტანილია: ვ. ს.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. ს.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით, შემდგომში „დებულება", გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 23 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. ს.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორმა ადვოკატი ვ. ს. გაიცნო 2010 წელს საერთო ახლობლის, მზია ჩინჩალაძის მეშვეობით. შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატი ვ. ს. უნდა დახმარებოდა ზ. ნ.-ს და მასთან ერთად მყოფ პირებს (მ. ყ., ლ. მ., ო. კ., ნ. მ., ნ. თ. და ლ. ძ.) ივერთუბანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაში.

1.3 საჩივრის ავტორმა 2010 წლის 15 სექტემბერს გააფორმა მინდობილობა ადვოკატ ვ. ს.-ის სახელზე და ჰონორარის სახით წინსწრებით გადასცა 300 დოლარი, საქმის დასრულების შემდგომ დამატებით უნდა გადაეხადა მეორე ნაწილი - 300 დოლარი. ადვოკატი დაჰპირდა საჩივრის ავტორს, რომ „ყველაფერს გააკეთებდა“ მის საქმესთან დაკავშირებით და კომუნიკაცია მასთან ტელეფონის მეშვეობით ექნებოდა, რადგან ზ. ნ. საზღვარგარეთ მიდიდოდა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ვ. ს.-ს ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ჰქონდა კომუნიკაცია, მათ შორის საქმესთან დაკავშირებით ერთად იმყოფებოდნენ გარდაბანში (როგორც საჩივრის ავტორს ახსოვს - სასამართლოში), სადაც წარადგინეს განცხადება დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე თუმცა ამ დრომდე ადვოკატისგან უცნობია მის მიერ წარდგენილ განცხადებაზე პასუხი.

1.5 საჩივრის ავტორი ადვოკატს სთხოვდა, რომ ფაქსის მეშვეობით გადაეგზავნა მისთვის სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა ადვოკატმა ეს არ გააკეთა. საჩივრის ავტორი ადვოკატთან დაკავშირებას მისი ოჯახის წევრების მეშვეობითაც ეცადა, თუმცა ამაოდ.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას დასაკანონებელი ჰქონდა მიწის ნაკვეთი, რომელზეც იყო დამოკიდებული (ამუშავებდა მიწას და მოჰყავდა მოსავალი). სწორედ ამ მიზნით მიმართა მას ადვოკატ ვ. ს.-ს, თუმცა იმ პერიოდში, სანამ საჩივრის ავტორის საქმის მასალები ადვოკატთან იყო, ეს ნაკვეთი, რომლის დაკანონებაშიც უნდა დახმარებოდა ადვოკატი კლიენტს, სხვამ გადაიფორმა.

1.7 საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა დიდი მოცულობის ორიგინალი საქმის მასალები, მათ შორის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის დოკუმენტი, საჩივრები პრეზიდენტის სახელზე და მიღებული საპასუხო წერილები.

1.8 ადვოკატმა საჩივრის ავტორს გადაცემული საქმის მასალებიდან „ორი უმნიშვნელო ფურცელი“ დაუბრუნა, გადახდილ ჰონორარზე კი განუმარტა, რომ „როცა ექნებოდა, დაუბრუნებდა“, რის შემდეგაც მას ადვოკატი აღარ დაკავშირებია.

1.9 საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატმა ვ. ს.-მ 2019 წლის 11 ნოემბერს წარმოადგინა თავისი ზეპირი ახსნა-განმარტება საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, რომლის მიხედვითაც, საჩივრის ავტორმა სხვა პირებთან ერთად მიმართა მას საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, რაც ეხებოდა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საკითხს.

2.2. ზ. ნ.-მ, როგორც სხვა პირებმა, რომელთა საქმეებიც ეხებოდა მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას მიმართეს ადვოკატ ვ. ს.-ს. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა საქმის მასალები გაცნობის მიზნით. ადვოკატის განმარტებით, ზ. ნ.-ს და მასთან ერთად მყოფ პირებს მან განუმარტა, რომ ის ჯერ საქმის წარმოებას ვერ დაიწყებდა, რადგან ახლადაღმოჩენილი გარემოება უნდა ყოფილიყო, საქმეზე რაიმე შედეგი რომ დამდგარიყო.

2.3. ადვოკატის განმარტებით, საქმის მასალების შესწავლის დროს, მან ნახა ნ. თ.-ის მიერ პროკურატურისადმი მიმართული წერილი, რაც ეხებოდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების დაკანონების საკითხს. ადვოკატის განცხადებით, ნ. თ.-ს ის არ იცნობდა და მან ზ. ნ.-ს და სხვა პირებს განუმარტა, რომ ნ. თ.-ის მიერ პროკურატურაში წარდგენილი საჩივრის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება შესაძლოა, მათი საქმის წარმოებისთვის სასარგებლო ყოფილიყო. კერძოდ, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე შესაძლოა გამოვლენილიყო ისეთი ახლადაღმოჩენილი გარემოება, რომელიც სასარგებლო იქნებოდა ზ. ნ.-ის და სხვა დანარჩენების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის საკითხის მოგვარებისთვის.

2.4. ადვოკატის განცხადებით, მან გამოწერა ორდერი ნ. თ.-ის სახელზე, მიმართა პროკურატურას საქმის გამოძიების დაჩქარების და მისი დამთავრების მოთხივნით. ადვოკატ ვ. ს.-ის განმარტებით, ის ადასტურებს, რომ მან მიიღო ჰონორარის სახით ზ. ნ.-ისგან და სხვა პირებისგან 300 დოლარი, თუმცა მას პირობა არ მიუცია საჩივრის ავტორისთვის, რომ ის მისი საქმის წარმოებას დაიწყებდა, მათ შორის მიმართავდა სასამართლოს სარჩელით. ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების დაწყება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნ. თ.-ის საქმე საგამოძიებო ორგანოში დასრულდებოდა.

2.5. ადვოკატმა 2019 წლის 11 ნოემბერს საპროცესო კოლეგიის წინაშე იშუამდგომლა, შეჩერებულიყო საქმისწარმოება ორი კვირის ვადით საჩივრის ავტორთან მორიგების მიზნით, მათ შორის ადვოკატმა განმარტა, რომ ამ პერიოდში ის მოიძიებდა საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებულ მასალებს და დაუბრუნებდა მას. ამასთან, გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების თაობაზე მოურიგდებოდა მხარეს, რის თაობაზეც შეატყობინებდა კომისიას. კომისიამ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა და მას მიეცა დამატებითი ვადა საქმესთან დაკავშირებით, მტკიცებულებების წარმოდგენისთვის და მხარესთან მორიგებისთვის. ადვოკატს აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ არ მიუწოდებია ინფორმაცია საქმის თაობაზე, მათ შორის მოიძია თუ არა საჩივრის ავტორის საქმის მასალები.

2.6. განხილვის კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, ადვოკატს ეთიკის კომისიის აპარატის მიერ საცხოვრებელ მისამართზე და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით 2020 წლის 30 ოქტომბერს გაეგზავნა შეტყობინება ამავე წლის 02 ნოემბერს განხილვის სხდომაზე დისტანციურ რეჟიმში გამოცხადების თაობაზე, თუმცა ადვოკატი სხდომაზე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე უცნობებია კომისიისათვის. ადვოკატი შეტყობინების მიუხედავად არ გამოცხადდა ამავე წლის 10 ნოემბერს დისტანციურ რეჟიმში გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე. ადვოკატს 2020 წლის 08 დეკემბერს გაეგზავნა შეტყობინება 11 დეკემბერს დისტნაციურ რეჟიმში განხილვის კოლეგიის მიერ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თაობაზე, თუმცა ადვოკატი ვ. ს. არც აღნიშნულ სხდომაზე გამოცხადდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2020 წლის 20 იანვარს მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. ს.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გამოუმუშავებელი ჰონორარისა და

საქმის მასალების დაბრუნების ვალდებულების (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.15) შესაძლო დარღვევის საფუძვლით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის, მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

4.1.1. საჩივრის ავტორმა 2010 წელს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა ადვოკატ ვ. ს.-ს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

2010 წლის 15 სექტემბრის მინდობილობა;

4.1.2. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა საქმესთან დაკავშირებული საქმის მასალები, რომელიც დღემდე იმყოფება ადვოკატთან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

4.1.3. საჩივრის ავტორმა ადვოკატს მისი საქმისწარმოებისათვის, წინსწრებით გადასცა 300 აშშ დოლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

4.2 მხარეთა შორის სადავოა რა იურიდიული მოქმედებები განახორციელა ადვოკატმა ვ. ს.-მ.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატთან ერთად იმყოფებოდა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში, სადაც, როგორც ადვოკატისგან არის მისთვის ცნობილი, წარადგინა განცხადება, რომელზეც ადვოკატისგან პასუხი არ მიუღია. ადვოკატის პოზიციით, იმისათვის, რომ საჩივრის ავტორის საქმის სასარგებლო მტკიცებულება მოეპოვებინა, მან პროკურატურას მიმართა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაჩქარების მიზნით.

შეთანხმებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების მტკიცების ტვირთი აკისრია შემსრულებელს, მოცემულ შემთხვევაში - ადვოკატს. მოცემულ შემთხვევაში, კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს გარდა განმარტებისა, არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა, რომ მან საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით განახორციელა კონკრეტული იურიდიული მოქმედებები, მათ შორის მიმართა პროკურატურას.

განსახილველ შემთხვევაში, დგინდება მხოლოდ ის გარემოება, რომ ადვოკატი საქმესთან დაკავშირებით საჩივრის ავტორთან ერთად იმყოფებოდა გარდაბანში, რომელსაც ადვოკატიც არ უარყოფს.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და დაადგინა, რომ ადვოკატ ვ. ს.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ვ. ს.-ის მიერ დარღვეულია კეთილსინდისიერების პრინციპი და კლიენტის ჯეროვანი ინფორმირების ეთიკური ვალდებულება:

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).

ადვოკატმა ... კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის … შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6)

6.2. ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის განხორციელება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის გარეშე შეუძლებელია. კლიენტს ადვოკატისგან მუდმივად უნდა ჰქონდეს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე. წარმომადგენლობის პროცესში, ადოკატი კლიენტს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებების შესახებ, რაც დაკავშირებულია კლიენტის საქმესთან.

6.3. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კვალიფიციური წარმომადგენლობა მოიცავს კლიენტისათვის დაცვის სტრატეგიის შეთანხმებასა და მის შესაბამისად მოქმედებას. ადვოკატის მიერ დაცვის სტრატეგიის კლიენტთან შეთანხმებისა და კლიენტის საქმეზე იურიდიული ქმედებების განხორციელების თაობაზე კლიენტის ინფორმირების გარეშე ადვოკატის მომსახურება არ ჩაითვლება კვალიფიციურ მომსახურებად, რადგან ადვოკატი არის იურიდიული მრჩეველი, ხოლო გადაწყვეტილების მიმღები პირი - ყოველთვის არის კლიენტი.

6.4. „ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ადვოკატის პროფესიული ღირებულებებისა და მის მიერ ეთიკური ვალდებულებების დაცვის საფუძველზე ყალიბდება. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება გულისხმობს სწორი და სრულყოფილი ინფორმაციის დროულად და

ჯეროვნად მიწოდებას, რაც უზრუნველყოფს საქმის მსვლელობის პროცესში კლიენტის ჩართულობას. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ნდობის პრინციპის დაცვის ერთ-ერთი გამოხატულებაა. კლიენტისათვის საქმესთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაციის მიწოდება, კლიენტის მიერ ადვოკატისადმი ნდობის დაკარგვის საფუძველი ხდება“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 02.10.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N148/18, 6.2).

6.5. ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას. კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 22.03.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N092/11).

6.6. ადვოკატი ვ. ს. ზ. ნ.-ს შეუთანხმდა, რომ აწარმოებდა მის სამოქალაქო საქმეს, რაც ეხებოდა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციას, თუმცა ეს ვალდებულება კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად არ შეასრულა. ადვოკატი არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ. საჩივრის ავტორისათვის, ასევე, უცნობი იყო ადვოკატ ვ. ს.-ის მიერ დასახული დაცვის სტრატეგია და კლიენტის სახელით, მის მიერ განხორციელებული იურიდიული ქმედებები. ეთიკის კომისიისა (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 16.10.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე #084/13) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 15.01.2020 წლის გადაწყვეტილება, საქმე #სსდ-31-19) პრაქტიკით, კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. ადვოკატმა, საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით უნდა დაადასტუროს, რომ მოახდინა კლიენტის ინფორმირება საქმის მიმდინარეობის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ეტაპზე წარმოდგენილი პოზიციიდან ირკვევა, რომ ის შეუდგა საჩივრის ავტორის საქმის მასალების გამოკვლევას. წარმომადგენლობის პროცესში, ადვოკატი გაეცნო ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეს, რომელზეც გამოძიების დასრულება სასარგებლო იქნებოდა საჩივრის ავტორის საქმის მოსაგვარებლად, თუმცს ეს ინფორმაცია არ მიაწოდა კლიენტს. ამასთან, ადვოკატი უზღუდავდა საჩივრის ავტორს მასთან კომუნიკაციას და ვერ იღებდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. საჩივრის ავტორისთვის დღემდე უცნობია ადვოკატის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი და მოქმედი საკონტაქტო ინფორმაცია.

6.7. კომისიის შეფასებით, ადვოკატი ვალდებული იყო საჩივრის ავტორთან, როგორც მის კლიენტთან ჰქონოდა ეფექტიანი კომუნიკაცია, ნათლად და გარკვევით მიეწოდებინა ინფორმაცია იმის თაობაზე, აპირებდა თუ არა სამომავლოდ კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებას საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატს საქმისწარმოების არც

ერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ის აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ. მათ შორის, ინფორმაციას მის დავასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეზე, საჩივრის ავტორისთვის ასევე უცნობია გარდაბნის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ განცხადებაზე წერილობითი პასუხი მომზადდა და გადაეცა თუ არა ადვოკატს.

6.8. ვინაიდან, ადვოკატი დროულად და გონივრულ ვადაში საქმის მიმდინარეობის თაობაზე არ აწვიდდა საჩივრის ავტორს ინფორმაციას და უზღუდავდა მასთან კომუნიკაციას, სახეზეა კეთილსინდისერების პრინციპისა და კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებათა დარღვევა.

6.9. განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა საჩივრის ავტორისათვის საქმის მასალებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობით დაარღვია ეთიკური ვალდებულება.

> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი … რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა, ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისაგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.10. კლიენტისთვის დოკუმენტებისა და ქონების უპირობო დაბრუნების ვალდებულება ვრცელდება იმ დოკუმენტებსა და ქონებაზე, რომლებიც ადვოკატს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას გადასცა: ა) თავად კლიენტმა; ბ) სასამართლომ; გ) სხვა ორგანომ ან პირმა. (წარმომადგენლობის შეწყვეტის რეგულირება - ავტ. ირაკლი კორძახია; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი # 3, 2013, 31)

6.11. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ ზ. ნ.-ის საქმის მასალები ორიგინალი სახით დღემდე იმყოფება ადვოკატთან. საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე ადვოკატმა გამოხატა მზაობა დაებრუნებინა საქმის მასალები საჩივრის ავტორისათვის და მორიგებოდა მას. საჩივრის ავტორის პოზიციიდან ირკვევა, რომ ადვოკატს არ დაუბრუნებია საქმის მასალები, გარდა „ორი უმნიშვნელო ფურცლისა“, მაშინ როდესაც მან ადვოკატს მოცულობითი საქმის მასალები გადასცა.

6.12. კომისია აღნიშნავს, რომ მორიგების ხელშეწყობა ზოგადად არ შედის კომისიის ვალდებულებების ჩამონათვალში, რადგან დისციპლინირების მიზანი არის არა მხარეთა მორიგება, არამედ ადვოკატის პროფესიის დაცვა და ამ პროფესიისადმი საზოგადოებაში არსებული ნდობის გამყარება. თუმცა, გამომდინარე საჩივრის ავტორის ძირითადი უფლების - დაცვის უფლების რეალიზაციაში ხელშეწყობიდან, რომელსაც აფერხებდა ადვოკატის მიერ კლიენტისთვის საქმის მასალების მიუწოდებლობა, საპროცესო კოლეგიის ეტაპზე დაკმაყოფილდა ადვოკატის შუამდგომლობა, მისცემოდა კიდევ ერთხელ, დამატებითი დრო ადვოკატს დაებრუნებინა კლიენტისთვის საქმის მასალები. თუმცა, ადვოკატს არ უსარგებლია აღნიშნული შესაძლებლობით და არც კომისიისთვის მიუწოდებია ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე.

6.13. მხარეთა ახსნა-განმარტების მიხედვით, სადავო არ იყო ფაქტი იმის შესახებ, რომ საქმის ორიგინალები კლიენტმა გადასცა ადვოკატს წარმომადგენლობის პროცესში. შესაბამისად, ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატს წარმოეშვა საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება. კომისია განმარტავს, რომ ინფორმაციის მიწოდებასა და საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების ფაქტი უნდა ამტკიცოს ადვოკატმა, რადგან მას აკისრია მტკიცების ტვირთი ამ ეთიკური ვალდებულებების შესრულების თაობაზე. ადვოკატს არ წარმოუდგენია მტკიცებულება აღნიშნული ვალდებულების შესრულების თაობაზე. შესაბამისად, დგინდება ადვოკატის მიერ ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის დარღვევა, რადგან საჩივრის ავტორის - ზ. ნ.-ის საქმის მასალები, მისი მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე იმყოფება ადვოკატთან. ადვოკატმა მიუხედავად მისი გამოთქმული სურვილისა, არ დაკავშირებია საჩივრის ავტორს, რომ დაებრუნებინა მისთვის დოკუმენტაცია.

6.14. განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას არსებობდა გამოუმუშვებელი ჰონორარი, რომელიც ადვოკატ ვ. ს.-ს არ დაუბრუნებია საჩივრის ავტორისთვის, შესაბამისად, ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლი:

> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ... კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.21 „პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა... იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 21.11.2016 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე #დს-შ/17-16).

6.22 „კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან

ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 16.09.16 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №038/16, 6.2).

6.23 ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეზე აგრეთვე იმსჯელა გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების გონივრულ ვადაზე: „ადვოკატის მიერ წელიწადნახევრის შემდგომ, ეთიკის კომისიაში საქმის აღძვრის შემდეგ ეტაპზე, ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.15 მუხლის შესრულება (სრულად თუ ნაწილობრივ) და ზეპირად გამოხატული თანხმობა ადვოკატის მიერ დანარჩენი თანხის დაბრუნების თაობაზე ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა გონივრულ ვადაში არ დააბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი. გონივრული ვადა შეიძლება იყოს რამდენიმე სამუშაო დღე, ან თუ არსებობს ობიექტური გარემოება (ადვოკატის შვებულება, ავადმყოფობა და ა.შ.), მაშინ ამ ობიექტური გარემოების არსებობით ამ ვადის გაგრძელება. მოცემულ შემთხვევაში, რადგან ადვოკატებმა ცალკე უნდა შეინახონ ავანსის სახით გადაცემული ჯერ კიდევ გამოუმუშავებელი ჰონორარი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13), მისი დაუყოვნებლივ დაბრუნების შესაძლებლობაც და ვალდებულებაც არსებობდა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 20.09.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე № 070/18, 6.7).

6.24 „ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №098/17).

6.25 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ კლიენტისაგან მიღებული ჰონორარი მხოლოდ საქმის მასალების გაცნობისათვის იყო გათვალისწინებული, რადგან ჰონორარის ოდენობისა და გაანგარიშების წესის შესახებ კლიენტის სწორი ინფორმირება ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8). ადვოკატს უნდა დაემტკიცებინა, რომ კლიენტისაგან მიღებული თანხა, მოიცავდა მხოლოდ „საქმის მასალების გაცნობას“. მხარეთა ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატი ვ. ს. გაეცნო საჩივრის ავტორის მიერ გადაცემულ საქმის მასალებს, გამოართვა კლიენტს მინდობილობა და დაიწყო საადვოკატო საქმიანობის განხორციელება. კერძოდ, ის იმყოფებოდა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში საჩივრის ავტორის საქმეზე. შესაბამისად, ეთიკის კომისია იზიარებს საპროცესო კოლეგიის შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ

ადვოკატი ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას, რადგან კლიენტის სახელით იურიდიული მოქმედებების განხორციელება, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 2) წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას. შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით, მხარეთა შორის ზეპირი ფორმით შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების ფარგლები სცდებოდა მხოლოდ „საქმის მასალების გაცნობას" და ის კლიენტის სახელით იურიდიული მოქმედებების შესრულებასაც მოიცავდა. ამასთან, ადვოკატი აღიარებს, რომ მას სრულად არ აქვს გაწეული საადვოკატო მომსახურება მიღებული მომსახურების საფასურის ფარგლებში. \

6.26 შესაბამისად, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით, ეთიკის კომისია ადგენს, რომ სახეზეა ადვოკატ ვ. ს.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა - გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის დაუბრუნებლობა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.27 კლიენტის ინფორმირების, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევისათვის, ადვოკატს ვერ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, რადგან გასულია კანონით დადგენილი 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა. ხოლო, რაც შეეხება საქმის მასალებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობას, რადგან ეს დარღვევები განგრძობად ხასიათს ატარებს და ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანის დროსაც არ დაუბრუნებია, ამ დარღვევებზე ვერ გავრცელდება ხანდაზმულობის ვადა. შესაბამისად, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ვ. ს.-ის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის (საქმის მასალებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობის ვალდებულებათა დარღვევა) უნდა განესაზღვროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება დისციპლინურ ზემოქმედების ღონისძიებასთან (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა) ერთად.

6.28 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რომელიც არ არის სახდელი.

6.29 დისციპლინური გადაცდომისთვის ადვოკატს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ერთი სახის დისციპლინური სახდელი ცალკე ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათან ერთად ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2.4 მუხლი). ამავე დროს, დებულების 2.5 მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „მიყენებულ ზიანში" უპირველესად მოიაზრება პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, ხოლო შემდეგ, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი. ამასთან, პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია „ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და

სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად... ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.30 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.31 საჩივრის ავტორმა ადვოკატისგან ვერ მიიღო ვერც ინფორმაცია და ვერც საქმის მასალები ორიგინალის სახით, რითიც მას შეეზღუდა უფლება მისი ინტერესების სასარგებლოდ რაიმე მოქმედებები განეხორციელებია. ასეთ ვითარებაში, ზიანი ადგება არამხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესებს, არამედ „პროფესიასაც, კლიენტს ობიექტურად შეიძლება წარმოშობოდა უნდობლობა ადვოკატების მიმართ, რადგან ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენელმა არ დაიცვა ერთ-ერთი ძირითადი პროფესიული ვალდებულება - საადვოკატო მომსახურების კეთილსინდისიერად განხორციელება“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 25.06.2018, დისციპლინური საქმე 077/17).

6.32 ადვოკატს მიუხედავად, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოხატული მზაობისა მორიგებოდა საჩივრის ავტორს, მათ შორის დაებრუნებინა გამოუმუშავებელი ჰონორარი და საქმის მასალები, არ განუხორციელებია.

6.33 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს არ გაუთვითცნობიერებია მის მიერ პროფესიული ვალდებულებების დარღვევა.

6.34 ეთიკის კომისია ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ ვ. ს.-ს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის, არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

6.35 შედეგად, კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატისათვის მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან. თუმცა, ამავდროულად, ადვოკატისათვის სახდელის სახით მხოლოდ გაფრთხილების შეფარდება არ იქნება ეფექტიანი და მასთან ერთად უნდა განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რომლის მიზანია ადვოკატმა გააცნობიეროს კლიენტისათვის და ზოგადად, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი და გაითვალისწინოს მომავალ საქმიანობაში ეთიკური სტანდარტების დაცვა.

6.36 „კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 20.10.20 დისციპლინური საქმე 063/19).

6.37 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, შედეგად, კომისიამ დადგინა, რომ ადვოკატ ვ. ს.-ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის პროპორციულ და სამართლიან პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებასთან (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა) ერთად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.1(ა) და 34.2(ა), 35, 35[1], 36 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33.11, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N050/15 დადგინდეს ადვოკატ ვ. ს.-ის /სიითი№/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ვ. ს.-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება და კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
5. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება
6. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის - გაფრთხილების განსაზღვრის ნაწილში ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/